RUSSIA'S EXPANSIONIST POLICY IN THE CONTEXT OF ETHNO-CULTURAL AND CIVIC IDENTITY TRANSFORMATION (ON THE EXAMPLE OF SELF-PROCLAIMED SOUTH OSSETIA)

რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა ეთნო-კულტურული და სამოქალაქო იდენტობის ტრანსფორმაციის კონტექსტში (თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის მაგალითზე)

Jalabadze Natia
Doctor of History, Senior Researcher
International Scientific Research
Instirure of the Peoples of the Caucasus;
Javakhishvili Institute of
History and Ethnology, TSU
Telephone: + 995 577 53 53 27
E-mail: natia_jalabadze@yahoo.com
ORCID: 0000-0002-0026-8782

Janiashvili Lavrenti
Doctor of Historical Sciences, Chief Researcher
International Scientific Research
Instirure of the Peoples of the Caucasus;
Javakhishvili Institute of
History and Ethnology, TSU
Telephone: + 995 593 34 87 88
E-mail:jlavrenti@yahoo.com
ORCID: 0000-0002-2053-8911

Abstract

The August 2008 war and the subsequent events in self-proclaimed South Ossetia are part of Russia's expansionist plan towards Georgia, thereby striving to gradually integrate the occupied region into its composition and regain control over the South Caucasus.

The expansionist policy of Russia is going on in many directions: military, economic, cultural, demographic and moral-psychological; these interdependent directions form a single system, where the activation of one activates the others.

Russia's military expansion in the occupied region is primarily reflected in the borderization of the occupation line, which the Ossetian side is carrying out with the assistance of Russian Federal Security Service (FSB) border guards; Russia fortifies this occupation line with border bases, annually increasing its military contingent and strengthening their military armament, i.e. militarizing the occupied territories; the Ossetian occupation regime arrests the so-called "violators" of the "border"; in some cases the right to life of illegal prisoners is violated; intensive military exercises are being conducted; the demonstration of military forces morally destroys the population of Georgian villages on our side and makes them be in constant fear.

Examples of Russia's cultural expansion in the occupied territories include the policy of abolishing Georgian schools and converting them into Russian, the prohibition of the use of the Georgian language in schools, the reduction of classes of the Georgian language and literature,

prohibition of Georgian applicants to enter higher education institutions in the territories controlled by Georgia and their access to higher education in Russia; declaring Russian as a working language in the State bodies of the occupied region;; official Tbilisi assessed such actions as a manifestation of the Russification policy and an evident form of occupation.

Traditional Georgian-Ossetian religious ties which fostered closer integration between these peoples were broken. The population of the occupied region actually found themselves outside the jurisdiction of the Autocephalous Orthodox Church of Georgia; due to borderization, part of the Georgian churches is in the territory controlled by de facto Ossetia, while the Georgian Church controls only some of them.

The population of the region is becoming more and more economically dependent on the Russian market; Roki checkpoint in de facto South Ossetia was abolished; due to the lack of contact with the rest of Georgia, the only way to connect with the outside world, is through the north; the population of the occupied region intensively receives Russian passports, which changes their civil identity in favor of Russian citizenship.

Due to Russian policy, the remaining Georgian population in the occupied territories is forced to either leave the region or change their citizenship.

Russia's expansionist policy is ultimately aimed at integrating this historic territory of Georgia into the empire.

Keywords: Georgia, Self-proclaimed South Ossetia, Borderization, Russia's Expansionist Policy, Transformation of Civic Identity

ჯალაბაძე ნათია
ისტორიის დოქტორი,
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
კავკასიის ხალხთა საერთაშორისო
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი;
თსუ ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ტელეფონი: + 995 577 53 53 27
ელ.ფოსტა: natia_jalabadze@yahoo.com
ORCID: 0000-0002-0026-8782

ჯანიაშვილი ლავრენტი
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
კავკასიის ხალხთა საერთაშორისო
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი;
თსუ ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ტელეფონი: + 995 93 34 87 88
ელ.ფოსტა: jlavrenti@yahoo.com
ORCID: 0000-0002-2053-8911

აბსტრაქტი

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში (ყსოაო) მიმდინარე მოვლენები, რუსეთის ექსპანსიონისტური სტრატეგიის ნაწილია, რომლითაც იგი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს რეგიონის მიერთებას, და სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური გეგმების განხორციელებას.

რუსეთის ექსპანსია მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს; სახეზეა სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული, დემოგრაფიული და მორალურ-ფსიქოლოგიური ექსპანსია; ეს მიმართულებები კი იმდენად ურთიერთშეპირობებულია, რომ ერთიან სისტემას ქმნის, სადაც ერთის გააქტიურება დანარჩენებსაც თავისთავად ააქტიურებს.

ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის სამხედრო ექსპანსია საოკუპაციო ზოლის ბორდერიზაციაში გამოიხატა, რასაც ოსური მხარე რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) მესაზღვრეების დახმარებით ახორციელებს; რუსეთი ამ ე.წ. საზღვარს ამაგრებს სასაზღვრო ბაზებით, ყოველწლიურად ზრდის სამხედრო კონტინგენტს და აძლიერებს მათ სამხედრო შეიარაღებას—ახდენს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციას; რეგიონში ინტენსიურად ტარდება სამხედრო წვრთნები; სამხედრო ძალის დემონსტრირება საოკუპაციო ზოლის აქეთ მყოფი სოფლების მოსახლეობას მორალურად ანადგურებს და მუდმივ შიშში ამყოფებს. საოკუპაციო რეჟიმი აპატიმრებს ე.წ. "საზღვრის დამრღვევთ"; რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს უკანონო პატიმართა სიცოცხლის ხელყოფას.

კულტურული ექსპანსიის გაცხადებული მაგალითია ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ქართული სკოლების გაუქმებისა და რუსულ სკოლებად მათი გარდაქმნის პოლიტიკა, სკოლებში ქართული ენაზე საუბრის აკრძალვა, ქართული ენისა და ლიტერატურის საათების შემცირება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აბიტურიენტთათვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების აკრძალვა და სამაგიეროდ, მათთვის რუსეთის უმაღლესი სასწავლებისაკენ გზის გახსნა. ოფიციალური თბილისის მიერ ეს ქმედებები რუსიფიკაციის პოლიტიკის მორიგ მანიფესტაციად და ოკუპაციის ნამდვილ გამოვლინებად შეფასდა.

დაირღვა ტრადიციული ქართულ-ოსური რელიგიური კავშირები, რაც ხელს უწყობდა ამ ხალხთა შორის მჭიდრო ინტეგრაციას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია ოკუპირებულ რეგიონში ფაქტობრივად არ ვრცელდება, ქართული ეკლესიების ნაწილი ბორდერიზაციის შედეგად ოსების კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა და ქართული მღვდელთმასხურება, მხოლოდ რამდენიმე მათგანში აღესრულება.

რეგიონის მოსახლეობა ეკონომიკურად სულ უფრო დამოკიდებული ხდება რუსეთის ბაზარზე; გაუქმდა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის როკის საბაჟო; დანარჩენ საქართველოსთან კავშირის არქონის გამო რეგიონის მოსახლეობის გარესამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა ჩრდილოეთისკენ გადის; ინტენსიურად მიმდინარეობს ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო იდენტობას რუსეთის მოქალაქეობის სასარგებლოდ ცვლის. რუსეთის პოლიტიკის გამოისობით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი ქართველი მოსახლეობა იძულებულია ან რეგიონი დატოვოს, ან მოქალაქეობა შეიცვალოს.

მოსკოვის ექსპანსიონისტური პოლიტიკა საბოლოოდ საქართველოს ამ ისტორიული ტერიტორიის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ინტეგრირებისაკენ არის მიმართული.

საძიებო სიტყვები: საქართველო, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთი, ბორდერიზაცია, რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა, სამოქალაქო იდენტობის ტრანსფორმაცია.

შესავალი

21-ე საუკუნეს მსოფლიო ახალი გეოპოლიტიკური რეალობით შეხვდა. საბჭოთა კავშირის ადგილი რუსეთმა დაიჭირა. მან საყოველთაო თანასწორობის მარქსისტული იდეა რუსეთის ნაციონალური ინტერესების პარადიგმით ჩაანაცვლა; უმთავრესი პრიორიტეტი გახდა საშინაო და საგარეო არენაზე რუსული სახელმწიფოსა და საზოგადოების ნაციონალური (სახელმწიფოებრივი) ინტერესების უზრუნველყოფა, რაც პოსტსაბჭოურ სივრცეზე გავლენის აღდგენაში გამოიხატება. ამგვარი კურსი, გარკვეულწილად, რუსული საზოგადოების დიდი ნაწილის დაკვეთაც არის, რომელზეც საუკუნენახევრის მასშტაბური იდეოლოგიური ექსპერიმენტები, თვისებრივად აისახა და ამიტომ სსრკ-ს დაშლა ეროვნულ ტრაგედიად აღიქვა(Некрасов 2015)

მეზობელი სახელმწიფოების დასუსტების და იქ საკუთარი გავლენის გაძლიერების მიზნით, კრემლი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ღიად თუ ფარულად უჭერდა მხარს სეპარატიზმს ამ ქვეყნებში, ხოლო 2008 წლის აგვისტოდან უკვე აშკარად გადავიდა ექსპანსიონისტურ ქმედებებზე, სამხედრო ძალით შემოიჭრა საქართველოში, განახორციელა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაცია, იქ სამხედრო ბაზები განათავსა და ეს რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. აგრესიული ქმედებებისათვის სამართლიანობის ელფერი რომ მინიჭებინა, ექსპანსია აფხაზი და ოსი ხალხის განადგურებისაგან დაცვის აუცილებლობით გაამართლა. ამ მრავალკომპონენტიან აქტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის მოწყვეტას დანარჩენი საქართველოს სამოქალაქო სივრცისგან, რათა პოლიტიკური,სოციო-ეკონომიკური და კულტურული იზოლაციის გზით მიაღწიონ გაუცხოების მაღალ ხარისხს და ქართულ საზოგადოებასთან ეთნო-კულტურული დისტანცირება შეუქცევადი გახადონ.

რუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში „ორი ოსეთის" გაერთიანებისათვის ისტორიული საფუძვლების შექმნისა და ოსური პრეტენზიების სამართლიანად წარმოჩენისათვის არნახული მასშტაბი მიიღო საქართველოს ისტორიის ოსურ//რუსულ ყაიდაზე ინტერპრეტაციამ. აძველებენ ოსების სამხრეთ კავკასიაში მიგრირების პერიოდს, წერენ, რომ საქართველოში მცხოვრები ოსები ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად უძველესი დროიდან ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმი იყო, რომელთაც, საქართველოზე უფრო ადრე, თავიანთი ბედი ნებაყოფლობით დაუკავშირეს რუსეთს; მიიჩნევენ, რომ ბოლო ასწლეულში მომხდარი კონფლიქტები, ქართული პოლიტიკური სისტემის მიერ ოსების საუკუნოვანი ჩაგვრის გაგრძელებაა და ოსი ხალხის განვითარება მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაშია შესაძლებელი.

წინამდებარე სტატიაში განხილულია რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ასპექტები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოკუპაციის შემდეგ.

მეთოდები

ნაშრომი უმთავრესად ეყდნობა საველე ეთნოგრაფიულ მასალას, ასევე, საარქივო, სპეციალური ლიტერატურის, ბეჭდური და სოციალური მედიის მონაცემებს. საველე სამუშაოები წარმოებდა ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებში. ეთნოგრაფიული მასალა შეიკრიბა ინტერვიუირების მეთოდით (ჩაღრმავებული და პირისპირ გამოკითხვა), ჩატარდა თავისუფალი დისკუსიები და ჯგუფური შეხვედრები. გამოყენებულია ისტორიულ–შედარებითი და ანალიტიკური მეთოდები.

შედეგები

2008 წლის ომის შემდეგ ოკუპირებულ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკა წარმოდგენილია სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული,

დემოგრაფიული და მორალურ-ფსიქოლოგიური აქტივობებით, რაც გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ვითარებაზე; ამასთანავე განაპირობებს, ქართველთა და ოსთა შორის ტრადიციული ეთნო-კულტურული და ეკონომიკური კავშირების მოშლას, ქართული და ოსური სოციუმის ურთიერთიზოლაციას და საოკუპაციო ზოლისმიღმა დარჩენილ მოსახლეობაში ქართული ეთნო-სახელმწიფოებრივი იდენტობის ტრანსფორმაციას.

მსჯელობა

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა ამერიკული ტელეკომპანია CNN – ისათვის მიცემულ ინტერვიუში მკაფიოდ ჩამოაყალიბა ფსევდოისტორიული ჰიპოთეზა, რომელიც ფალსიფიცირებულ ისტორიულ ნარატივს ეყრდნობა; ეს ნარატივი, რომლის დადასტურება ისტორიული წყაროებით შეუძლებელია, საქართველოში რუსულ აგრესიას აფასებს, როგორც ისტორიული სამართლიანობის აღდგენას; კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ერთიანი ოსეთი რუსეთის იმპერიაში ნებაყოფლობით შევიდა 1745-1747 წწ-ში (Путин 2008). მოგვიანებით, მან უაპელაციოდ შეცვალა ეს თარიღი და „ერთიანი ოსეთის“ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა რუსეთ-ოსმალეთის 1774 წ.-ს ქუჩუკ-კაინარჯის ზავს დაუკავშირა (Regnum 2019).

უნდა ითქვას, რომ საერთოდ, ისტორიული თემატიკის კვლევისას, ოსურ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ეტაპზე მიღებული დასკვნები ხშირად სრულიად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რაც დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას აძლევს ამ მრავალფეროვანი და ეკლექტური მონაცემებიდან სათანადო შეარჩიოს და გამოიყენოს ოსეთის ისტორიის ამა თუ იმ სადავო პრობლემის სასურველი არგუმენტაციისთვის. გამონაკლისს ამ მხრივ არც ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიის ძირეული საკითხები წარმოადგენს. ოსი მკვლევრებისათვის დამახასიათებელია სამხრეთ კავკასიაში თავიანთი ხალხის ცხოვრების ისტორიის დაძველება და იმის მტკიცება, რომ ოსთა გამოჩენამდე საქართველოს ჩრდილოეთ რეგიონში ქართველები არ მკვიდრობდნენ. ბუნებრივია, ამ ტიპის ისტორიული ნარატივების ძირითადი დანიშნულება არის ქართულ-ოსური დაპირისპირების გაღრმავება, ოსური ნაციის კონსოლიდირება და, საბოლოოდ, მისი რუსულ სახელმწიფოში სრული ინტეგრაციისთვის საფუძვლის გამყარება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებული მოვლენები განსაკუთრებით მტკივნეულად აისახა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ქვემოთ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მოხსენიებული იქნება შემოკლებით _ ყსოაო) მოსახლეობაზე, კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ოკუპაციის პირობებში. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, რეგიონში და მიმდებარე ტერიტორიებზე გადაიწვა და მთლიანად განადგურდა ორმოცდაათამდე ქართული სოფელი. სამხრეთ ოსეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (2008 წლის 26 აგვისტო) ანექსირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა 103 სოფელი, რომელთაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობებსა და ახალგორის რაიონში აგვისტოს ომამდე აკონტროლებდა. საკუთარი სახლებიდან გააძევეს და ეთნიკური წმენდა განახორციელეს 130 ათასამდე, ძირითადად ეთნიკური ქართველი მოსახლეობის მიმართ; მათგან ყსოაო-ს 26 000 მცხოვრები დღემდე დევნილობაში რჩება. (http://shidakartli.gov.ge/ge/pages/index/47)

2010 წლის სექტემბრის ბოლოს ოსური მხარე „სახელმწიფო საზღვრის” დადგენას და მონიშვნას შეუდგა. 2011 წლიდან საოკუპაციო საზღვრის დემარკაცია-გაფართოვების, ანუ ბორდერიზაციის პროცესმა ინტენსიური სახე მიიღო. საოკუპაციო ხაზმა კიდევ 32 სოფელი მოიცვა და მთლიანობაში ქართულმა მხარემ კონტროლი დაკარგა ყსოაო-ს 135 დასახლებულ პუნქტზე. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, საოკუპაციო საზღვარი არაერთხელ შეიცვალა და დღევანდელი მდგომარეობით, „თვითაღიარებული სამხრეთ

ოსეთის მიმართულებით ბორდერიზაცია მოიცავს 60 კმ-ზე მეტ სიგრძეზე გაჭიმულ უსაფრთხოების ღობეებს, 20 კმ სიგრძეზე განთავსებულ სათვალთვალო ტექნიკას, 200-ზე მეტ ნიშანს წარწერით „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვარი“, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების 19 ბაზას და ოთხ კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტს“ (დამკვირვებელი 2018: 2).

რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების საერთო ფართობი ყსოაო-ში 3.8 ათას კმ^{2}-ია, ხოლო საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტია, სოფ. ორჭოსანთან მთავარ მაგისტრალამდე დარჩენილია დაახლოებით 350 მეტრი და ე.წ. საზღვრის მიღმაა მოხვედრილი ბაქო-სუფსის მილსადენის ნაწილი (ელბაქიძე 2017). ბორდერიზაციის შედეგად საოკუპაციო ზოლმა რიგი სოფლები (34 დასახლებული პუნქტი) გაყო და მოსახლეობის ნაწილისთვის მიუწვდომელი გახდა მათი კერძო საკუთრება, ზოგან საცხოვრებელი სახლი, ზოგან ბაღ-ვენახი, სახნავ-სათესი სავარგულები, ტყე, საძოვარი, სასაფლაო, ეკლესიები და სალოცავები; სადემარკაციო ხაზის გამოისობით, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და ტყეებზე სხვადასხვა კრიტერიუმით, სულ 800-1000-მა ოჯახმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა წვდომა (Amnesty International 2019: 38; 20) ოსების/რუსების კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილი საქართველოს მოქალაქეები ვერ იღებენ პირველად სამედიცინო დახმარებას და მშობლიურ ენაზე განათლებას, ვერ ნახულობენ ნათესავებს და ახლობლებს.

ქართველებისა და ოსების ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის, თუმცა, მათ შორის დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასდროს ყოფილა; ისტორიულად ამ ხალხებს ერთმანეთთან მტრობაც ჰქონდათ და მოკეთეობაც; მათ შორის მჭიდრო სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები არსებობდა. აღმოსავლეთ საქართველოში, ნიშანდობლივ, საბჭოთა პერიოდში, ეთნიკურად შერეული ოჯახების დიდი წილი ქართულ-ოსურ საქორწინო წყვილებზე მოდიოდა. შერეული ქართულ-ოსური ოჯახების სიხშირეს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, პირველ რიგში ამ ხალხთა ტერიტორიული სიახლოვე განსაზღვრავდა; თითქმის არ იყო ქართული ოჯახი, სადაც ოსი სიძე ან რძალი არ ჰყავდათ. ეს განაპირობებდა მათ ენობრივ, კულტურულ-ტრადიციულ ერთიანობას და ორივე ეთნოსისადმი მიკუთვნილობის განცდის ჩამოყალიბებას. ქართველთა და ოსთა შორის მიმდინარე მრავალმხრივი კომუნიკაცია ყოველთვის განსაზღვრავდა მათი ურთიერთობის და დამოკიდებულების ხასიათს. დაპირისპირებისა თუ მხარში დგომის ისტორიული გამოცდილება ქართველთა და ოსთა ამბივალენტურ სტერეოტიპებში ჰპოვებდა გამოძახილს. თუ, ერთი მხრივ, დადებითი სტერეოტიპები ქმნიდა ნიადაგს მათ შორის პოზიტიური ურთიერთობისათვის, მეორე მხრივ, უარყოფითი სტერეოტიპები დაპირისპირებას უმაგრებდა საფუძველს. სწორედ ამ უარყოფით სტერეოტიპთა გამიზნული აქცენტირებით, ქართულ-ოსური ურთიერთობა გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა მანიპულაციების იარაღი ხდებოდა. რუსეთი, მოქნილი პროპაგანდისტული პოლიტიკის და პრაქტიკული ქმედებების გზით ამ ხალხებს შორის ბზარს აფართოებდა. 1990-იან წლებში განვითარებული შეიარაღებული დაპირისპირების და მისი სავალალო შედეგების (ეთნოწმენდა, დევნილობა, მიგრაციები) მიუხედავად, ტრადიციული ურთიერთობის ფესვები საკმაოდ გამძლე აღმოჩნდა იმისათვის, რათა შენარჩუნებულიყო ქართველებსა და ოსებს შორის პირადი ურთიერთობები და ეარსება შერიგების ტენდენციას. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ რეგიონში ქართული სოფლების მოსახლეობა ჯერ კიდევ ადგილზე იყო და მას, ქართულ-ოსური ურთიერთობის დარეგულირებაში, მედიუმის როლი ეკისრებოდა (ჯალაბაძე 2010:177). 2008 წლის აგვისტოს ომმა კი ქართველთა და ოსთა ურთიერთგანწყობა რადიკალურად შეცვალა და მისი დადებითი პერსპექტივა შორი მომავლისკენ გადასწია. პრაქტიკულად მოისპო პირადი კონტაქტები, დაზარალებულ მოსახლეობაში იმატა უიმედობამ და ფრუსტრაციამ.

რუსეთის როლს ამ ურთიერთობის დინამიკაში კარგად აცნობიერებს 2008 წლის ომით დაზარალებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

რეგიონის ოკუპაციის შემდეგ, როდესაც ქართული მოსახლეობა გამოდევნილ იქნა ცხინვალის რეგიონიდან და, ასევე, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის სხვა რაიონებიც დაიცალა ქართველებისგან, ქართულ-ოსური ნათესაური კავშირების დამყარების პერსპექტივამ, ბუნებრივია, იკლო. ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის აღარ არსებობს ის ასპარეზი, რაც თავის დროზე მჭიდროდ კრავდა ქართულ და ოსურ სოციუმს.

რუსეთის ექსპანსია დე ფაქტო სამხეთ ოსეთში, მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს; ეს მიმართულებები კი იმდენად გადაჯაჭვული და ურთიერთშეპირობებულია, რომ ერთიან სისტემას ქმნის, სადაც ერთის გააქტიურება დანარჩენებსაც თავისთავად ააქტიურებს. ოსური მხარე ბორდერიზაციას, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) მესაზღვრეების დახმარებით ახორციელებს; რუსეთი გამყოფ ხაზს ამაგრებს სამხედრო სასაზღვრო ბაზებით, ყოველწლიურად ზრდის სამხედრო კონტინგენტს და აძლიერებს მათ სამხედრო შეიარაღებას—ახდენს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციას; რუსული სამხედრო სისტემა მკაცრად აკონტროლებს საოკუპაციო ზოლს, უზღუდავს მოსახლეობას გადაადგილებას; საოკუპაციო რეჟიმი აპატიმრებს ე.წ. "საზღვრის" "დამრღვევთ"; რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს უკანონო პატიმართა სიცოცხლის ხელყოფას; ინტენსიურად ტარდება სამხედრო წვრთნები; სამხედრო ძალის დემონსტრირება საოკუპაციო ზონის აქეთ მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობას მორალურად ანადგურებს და მუდმივ შიშში ამყოფებს; რუსული პოლიტიკა, შესაბამისად, რადიკალურად ცვლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეურნეო-კულტურული კომუნიკაციის ვექტორს. ერთმანეთისაგან საოკუპაციო ხაზით დაშორებული ქართულ-ოსური სამეურნეო და საზოგადოებრივ-კულტურულ ურთიერთობები თითქმის შეწყდა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობს რუსიფიკაციის პოლიტიკა: რუსი სამხედროები ბაზებზე ოჯახებით ცხოვრობენ და თანდათან იზრდება მათი რაოდენობაც. სამხედროთა შვილებისთვის იხსნება რუსული საბავშვო ბაღები და სკოლები, სადაც მომსახურე პერსონალიც რუსი ან რუსულენოვანია; საქმის წარმოება ე.წ. სახელმწიფო უწყებებში რუსულ ენაზე მიმდინარეობს; ადგილობრივ ოსურ და რუსულენოვან სკოლებში ასწავლიან გაყალბებულ ისტორიას, სადაც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ისტორიულ ოსეთად არის წარმოდგენილი, ხოლო ქართველები ოსების მტრებად; რუსეთი ხელს უწყობს ოკუპირებული რეგიონის ახალგაზრდებს რფ-ში უმაღლესი განათლების მიღებაში; ინტენსიურად მიმდინარეობს ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი; ყსოაოს ბევრი მაცხოვრებელი სარგებლობს რუსული პენსიით; რუსული დიასპორისთვის აშენდა ეკლესია, რომელიც რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას ექვემდებარება; რეგიონის მოსახლეობა ეკონომიკურად დამოკიდებულია რფ-ს ბაზარზე; გაუქმდა სამხრეთ ოსეთის როკის საბაჟო; დანარჩენ საქართველოსთან კავშირის არქონის გამო, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის სხვა სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა ჩრდილოეთისკენ გადის და ა.შ. ექსპერტთა შეფასებით, ეს ყოველივე ოკუპირებულ რეგიონს მთლიანად რუსეთზე დამოკიდებულ სუბიექტად აქცევს.

ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა საკმაოდ ეფექტურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო კუთხითაც. საოკუპაციო ძალები და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაციას ეწევიან, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვაა. ქართული სკოლების გაუქმებისა და რუსულ სკოლებად მათი გარდაქმნის ტენდენცია, სკოლებში ქართული ენაზე საუბრის აკრძალვა, ქართული ენისა და ლიტერატურის საათების უკიდურესად შემცირება,

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების აკრძალვა, კულტურული ანექსიის გაცხადებული სურათია.

ყსოაო-ს ტერიტორიის ოკუპაციის შემდგომ რელიგიის თემა ცხინვალის/კრემლის მიერ ერთგვარი მანიპულაციის ობიექტად და რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის განხორციელების იარაღად იქცა. საქართველოში ჩამოსახლებული ოსები ქართული კულტურის ზეგავლენით ქრისტიანობას და ქართველთა რელიგიურ ტრადიციებს ეზიარნენ, თუმცა დღემდე არც თავიანთ ძველ წეს-ჩვეულებებს არ ივიწყებენ. მათ ჰქონდათ როგორც საკუთარი, ასევე ქართველებთან საზიარო სალოცავები. ისინი ხშირად ერთად აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს და ერთმანეთს თავიანთ დღეობებში ეპატიჟებოდნენ. საერთო რელიგიური პრაქტიკა საფუძველს უმყარებდა ქართველთა და ოსთა ახლო ურთიერთობას, რასაც ასევე განამტკიცებდა შერეული ქორწინებების სიხშირე და ნათლობის გზით ხელოვნური დანათესავების პრაქტიკა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტენსიური ურთიერთობა ხელს უწყობდა ორივე ხალხის ტრადიციული ეთნოკულტურული ელემენტების ურთიერთშეღწევადობას და, შესაბამისად, ინტეგრაციის ხარისხის ზრდას.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 2008 წლის ომის შემდეგ; შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, დაინგრა და გაპარტახდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ქართული ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი; ოსებმა ქართული ეკლესია-სალოცავები ოსური კულტურის ძეგლებად გამოაცხადეს, ზოგი გადაღებეს, ზოგიც განადგურდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ეკლესიის კედლებიდან ის ქვები ამოიღეს, რომლებზეც ქართული წარწერები და მართლმადიდებლური ჯვრები იყო გამოსახული (ჯალაბაძე 2014:117).

ბორდერიზაციის გამოისობით მავთულხლართების მიღმა აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის სულიერი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ეკლესიები, სადაც რელიგიურ დღესასწაულებზე ტრადიციულად სისტემატურად იკრიბებოდნენ ხოლმე. გამყოფი ხაზის აქეთ დარჩენილ მოსახლეობას ამჟამად არ აქვს წვდომა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ, სულ მცირე, ცხრა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. ადამიანები ვეღარ ახერხებენ წინაპართა სასაფლაოებზე და სალოცავებში მისვლას, ვეღარ აღნიშნავენ საეკლესიო დღესასწაულებს, დავიწყების პერსპექტივა აქვს ერთობლივ ხალხური დღეობებსა და საერთო რელიგიურ პრაქტიკას. თუმცაღა, სულიერი კავშირების შენარჩუნების მოთხოვნილება და ტრადიციის სიმძლავრე დაზარალებული საზოგადოების წევრთა ერთ ნაწილს აიძულებს თავისუფლების რისკის ფასად საოკუპაციო საზღვარი მალულად გადაკვეთოს, ტრადიციას არ უღალატოს და წინაპართა სალოცავებში მივიდეს. სწორედ ამიტომ, ცხინვალის რეჟიმის მიერ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა არცთუ მცირე ნაწილი ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

შიდა ქართლის ოკუპირებული, ანუ დე-ფაქტო სამხერთ ოსეთის ტერიტორია, ოფიციალურად საქართველოს საპატრიარქოს ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის იურისდიქციაში შედის. თუმცა, ამჟამად აქაური მღვდელმთავრის (მეუფე ისაია ჭანტურია) სამწყსოს ტერიტორია მხოლოდ მდინარე ლიახვის აუზით შემოიფარგლება; ეპარქიის მნიშვნელოვან ნაწილზე მისი იურისდიქცია მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებს. თვითაღიარებულ რესპუბლიკაში აქტუალურია ოსეთის ეკლესიის ქართული საპატრიარქოს იურისდიქციიდან გამოყოფის საკითხი. რუსული ეკლესია ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს საპატრიარქოს კანონიკურ იურისდიქციას აღიარებს, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. იგი დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ეკლესიას თავისი იურისდიქციის ქვეშ ოფიციალურად არ იღებს, თუმცაღა რეგიონში ფეხს აქტიურად იკიდებს; ამის მაგალითია წმ. სამების რუსული ტაძრის აგება ცხინვალში (ფუნქციონირებს 2017 წლიდან), რომელიც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაშია. აგვისტოს ომის შემდეგ საოკუპაციო ზოლის საპირისპირო მხარეებზე დარჩენილი

მოსახლეობის გაუცხოებისაკენ მიმართული კრემლის /ცხინვალის პოლიტიკა, გულისხმობს ტრადიციული რელიგიური პრაქტიკის კარდინალურ ტრანსფორმაციას ქართველთა და ოსთა სასულიერო ერთობის გახლეჩის გზით.

რაც შეეხება ჯანდაცვას, საქართველოს სახელმწიფო ამ მიმართულებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც კვეთენ საოკუპაციო ხაზს, აძლევს შესაძლებლობას მიიღონ სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება საქართველოში არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში უფასოდ და ჩაერთონ საქართველოს სოციალური დაცვისა და შეღავათების სისტემაში; მათთვის ასევე ხელმისაწვდომია სამედიცინო პროგრამები (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2010). ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას ცხინვალის რეჟიმი ბარიერებს უქმნის და ყველანაირად ცდილობს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მათ სასარგებლოდ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ქართველთა საწინააღმდეგოდ გამოიყენოს. სისტემატური და მიზანმიმართული სახე მიიღო დეზინფორმაციულმა პროპაგანდისტულმა გზავნილებმა საქართველოს წინააღმდეგ, საინფორმაციო პლატფორმებზე საქართველოს ასოცირებამ საფრთხესთან.

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში მოქმედ საინფორმაციო პლატფორმებზე აქტიურად აქვეყნებენ უშიშროების კომიტეტის განცხადებებს და მათზე დაყრდნობით წერენ, რომ საქართველო მიზანმიმართულად ცდილობს სამხრეთ ოსეთში COVID-19-ის გავრცელებას. არა ერთი მასალა მომზადდა ლუგარის ლაბორატორიის შესახებ, სადაც აღნიშნული დაწესებულება მოხსენიებულია ბიოლოგიური იარაღის შექმნისა და გავრცელების წყაროდ. ყალბი ინფორმაციები გავრცელდა ამერიკის მთავრობის მისამართითაც. პოპულიზმად ჩაითვალა საქართველოს მთავრობის შემოთავაზებები ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების თაობაზე. დე ფაქტო რეჟიმმა ადგილზე ჩასვლის და მუშაობის შესაძლებლობა არ მისცა „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას“. როგორც დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლები, ასევე საინფორმაციო პლატფორმები, აქტიურად დაკავდნენ პროპაგანდისტული გზავნილებით და პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ფოკუსირების ნაცვლად, საქართველოს, როგორც მტრის ხატის იმიჯი გაამყარეს (ბოკუჩავა 2020: 40-41; 44-45). ამ განცხადებებს მოჰყვა საქართველოსთან ყველა „საზღვრო გამშვები პუნქტის“ ჩაკეტვა

გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული კონფლიქტი და საერთო ეკონომიკური სტაგნაცია ყოფილი ავტონომიური ოლქის და მიმდებარე დასახლებების ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახა: გაუქმდა კოლმეურნეობები, გასხვისდა საქონლის ფერმები, გაჩერდა საბჭოთა პერიოდში მოქმედი მცირე სამრეწველო ობიექტები, პრობლემები შეექმნა საირიგაციო სისტემას, დაირღვა სამურნეო-ეკონომიკური კავშირები, გახშირდა კრიმინალი, ყსოაო-ს საკონტაქტო ზონა განსაკუთრებით რაჭასა (კვაისა) და იმერეთში (სინაგური) იქცა ნარკოტრაფიკის ადგილებად.

ბორდერიზაციის შედეგად, საოკუპაციო ზონის მიმდებარე თითქმის ყველა სოფელს ოკუპანტებმა ჩამოაჭრეს ტრადიციულად მათ სარგებლობაში არსებული სავარგულები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სოფლის მოსახლეობისათვის აუცილებელი მიწის ფონდი. ამასთანავე, მეტად გართულდა სასოფლო პროდუქციის გასაღება. შიდა ქართლის სოფლებში სადაც წამყვანი იყო მებაღეობა და მოსახლეობის ძირითად შემოსავალს ვაშლის გაყიდვით მიღებული სახსრები შეადგენდა, ეს ხილი ძირითადად რუსეთში გადიოდა. არანაკლებ რთული ვითარებაა ოკუპირებულ სოფლებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მომსახურეობის სფეროშია დასაქმებული, რადგან საოკუპაციო ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებს მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა. დღეისათვის ყსოაოს საწარმოების ამუშავება, პოლიტიკურის გარდა, სხვა სახის პრობლემებსაც (ფინანსების სიმწირე, კვალიფიციური მუშახელისა და გასაღების ბაზრების არარსებობა და ა.შ) უკავშირდება და დღევანდელ პირობებში შეუძლებელი ჩანს. რუსული

სამხედრო მანქანა რომელიც მოსახლეობას გადაადგილებას უზღუდავს, რადიკალურად ცვლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეურნეო-კულტურული კომუნიკაციის ვექტორს. ამ რეგიონის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სახლ-კარი მიატოვა და საცხოვრებლად ძირითადად შიდა ქართლში საგანგებოდ შექმნილ დასახლებებში ან ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა. თითქმის მთლიანად დაიცალა სოფლები, დაირღვა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირები, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, შეიცვალა ბევრი ოჯახის შემოსავლის წყარო, რაც სისტემურ პრობლემას წარმოადგენს, რადგან საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის მთლიანობას.

2008 წლის ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შეცვალა ქართველთა და ოსთა ურთიერთგანწყობა. კულტურული კავშირების წყვეტამ, რუსულმა პროპაგანდამ, ჩაკეტილმა სივრცემ, ქართული კულტურული ღირებულებების არცოდნამ, ფალსიფიცირებული ისტორიის სწავლებამ, ოკუპირებულ რეგიონის მოსახლეობაში ქსენოფობიური განწყობების ჩამოყალიბებას - შეუწყო ხელი. ქართველებისაგან მტრის ხატის შექმნა რუსული პოლიტიკის ინტერესებს ემსახურება.

2008 წლის ომის შემდგომი რუსეთის პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და მათი მოსახლეობის მიმართ, ნათლად წარმოაჩენს, რომ, მისი იმპერიული ხასიათი არ შეცვლილა. ეს პოლიტიკა მუდამ ერთი – იმპერიულ-დერჟავული იყო მეფის დროსაც, საბჭოთა ხანაშიც და ასეთივეა ახლაც (ჯანელიძე, 2020:5).

სოციო-კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით წლების წინ საკმაოდ ინტეგრირებული საკვლევი სოციუმი, კრემლის მიერ ამ მიმართულებით წარმოებული პოლიტიკის გამოისობით, დეზინტეგრაციის წინაშე დგას; ოკუპაციის შემდგომ ქვეყანაში არსებული ვითარება, დიდი ალბათობით, ქართული სახელმწიფოსაგან ოსების გაუცხოებას გამოიწვევს და ინტერკულტურული კომუნიკაციის ტრადიციულ ფორმას მოსპობს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბოკუჩავა, მ. (2020). *პანდემია ოკუპაციის პირობებში [აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საინფორმაციო პლატფორმების გზავნილები].* თბილისი. გაერთიანებული სამეფოს საელჩო

ჩიტაია, გ. *ბუნებრივ-სამეურნეო ზონების შესახებ,* შრომები ტ. IV, გვ. 90;

დამკვირვებელი, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, #7 • ოქტომბერი 2018

ელბაქიძე, ე. (2017). *რუსული მცოცავი ოკუპაცია ციფრებში,* https://factcheck.ge/ka/story/30489-rusuli-mtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi

ჯალაბაძე ნ. (2010) *ქართულ-ოსური ურთიერთობების ეთნო-ფსიქოლოგიური ასპექტები, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული,* #12,თბ.

ჯალაბაძე, ნ. (2014). *2008 წელს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის ყოფის ზოგიერთი ასპექტი (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით),* თბილისი, კეკ XV

ჯანელიძე, ო. ორი რუსეთი (მითი თუ რეალობა?), რონდელის ფონდი, https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2886.pdf

ჯიშკარიანი ჯ. . (2022) *როგორია ქართველი აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოში?* https://netgazeti.ge/south_caucasus/ 591308/ ?fbclid= IwAR2VX xeS16J0a Nza AHPXpRiX xiWGLmma _9qHidHkXL6cyx9eYgplRGjYQSI

მუსხელიშვილი დ. (2014) *საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები, სამეცნიერო სტატიები,* წერილები და პუბლიკაციები, თბ.) გვ-89

საქართველოს მთავრობა, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია http://shidakartli.gov.ge/ge/pages/index/4

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2010). საქართველოს მთავრობის განკარგულება №107,2010 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

Некрасов А., (2015), *Russia looks to its history in search for a new ideology*, http://inosmi.ru/russia/20150330/227196328.html

За колючей проволокой (2019) Amnesty International, https://www.kavkaz-uzel.eu/articles/behind_barbed_wire_ru/https://www.kavkaz-uzel.eu/articles/behind_barbed_wire_ru/

Интервью Председателя Правительства Российской Федерации В.В.Путина американской телекомпании «Си-Эн-Эн», (2008) Сочи, 28 августа 2008 г., http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1

Путин рассказал, что он думает о ситуации в Грузии, (2019) ЕКАТЕРИНБУРГ, 9 июля, 20:14 — REGNUM https://regnum.ru/news/polit/2662863.html

Южная Осетия нашла выход из Грузии в документе 1774 года, КоммерсантЪ. (2006) № 50. 23 марта, https://www.hse.ru/news/1163611/1130555.html

REFERENCES

bok'uchava, m. (2020). p'andemia ok'up'atsiis p'irobebshi [apkhazetis da tskhinvalis regionis sainpormatsio p'lat'pormebis gzavnilebi]. tbilisi. gaertianebuli samepos saelcho

chit'aia, g. bunebriv-sameurneo zonebis shesakheb, shromebi t'. IV, gv. 90;

damk'virvebeli, sakartveloshi evrok'avshiris sadamk'virveblo misiis p'erioduli gamotsema, #7 • okt'omberi 2018

elbakidze, e. (2017). rusuli mtsotsavi ok'up'atsia tsiprebshi, https://factcheck.ge/ka/story/30489-rusuli-mtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi

jalabadze n. (2010) kartul-osuri urtiertobebis etno-psikologiuri asp'ekt'ebi, k'avk'asiis etnologiuri k'rebuli, #12,tb.

jalabadze, n. (2014). 2008 ts'els tskhinvalis regionidan devnili mosakhleobis qopis zogierti asp'ekt'i (etnograpiuli monatsemebis mikhedvit), tbilisi, k'ek' XV

janelidze, o. ori ruseti (miti tu realoba?), rondelis pondi, https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2886.pdf

jishk'ariani j. . (2022) rogoria kartveli apkhazetis ist'oriis sakhelmdzghvaneloshi? https://netgazeti.ge/south_caucasus/ 591308/ ?fbclid= IwAR2VX xeS16J0a Nza AHPXpRiX xiWGLmma _9qHidHkXL6cyx9eYgplRGjYQSI

muskhelishvili d. (2014) sakartvelos sakhelmts'ipo t'erit'oriis ts'armokmnis ist'oriul-geograpiuli da etnik'ur-k'ult'uruli sapudzvlebi, sametsniero st'at'iebi, ts'erilebi da p'ublik'atsiebi, tb.) gv-89

sakartvelos mtavroba, shida kartlis sakhelmts'ipo rts'munebulis administ'ratsia http://shidakartli.gov.ge/ge/pages/index/4

sakartvelos sak'anonmdeblo matsne (2010). sakartvelos mtavrobis gank'arguleba №107,2010 ts'lis 27 ianvari k. Tbilisi.

Nekrasov A., (2015), Russia looks to its history in search for a new ideology, http://inosmi.ru/russia/20150330/227196328.html

Za koljuchej provolokoj (2019) Amnesty International, https://www.kavkaz-uzel.eu/articles/behind_barbed_wire_ru/https://www.kavkaz-uzel.eu/articles/behind_barbed_wire_ru/

Interv'ju Predsedatelja Pravitel'stva Rossijskoj Federacii V.V.Putina amerikanskoj telekompanii «Si-Jen-Jen», (2008) Sochi, 28 avgusta 2008 g., http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1

Putin rasskazal, chto on dumaet o situacii v Gruzii, (2019) EKATERINBURG, 9 ijulja, 20:14 — REGNUM https://regnum.ru/news/polit/2662863.html

Juzhnaja Osetija nashla vyhod iz Gruzii v dokumente 1774 goda, Kommersant##. (2006) № 50. 23 marta, https://www.hse.ru/news/1163611/1130555.html

მადლიერება

ავტორები მადლობას უხდიან შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის ხელშეწყობითაც დაიწერა ეს ნაშრომი, ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „რუსეთის მცოცავი ოკუპაციის ზონაში მოქცეული სოფლების ყოფის“- ს ფარგლებში (FR-18-10229).